




საშურის მოახბა



№10 (384)

20 მარტი, ორშაბათი, 2023 წელი

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა



შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულუდანი და ოთხივე მუნიციპალიტეტის მერი ესწრებოდა.

სამუშაო შეხვედრაზე რეგიონისთვის პრიორიტეტული საკითხები განიხილეს. ასევე, იმსჯელეს მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც. აღსანიშნავია, რომ წელს რეგიონებში განსახორციელებული ფონდიდან 30 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც 30-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

გარდა ამისა, სახელმწიფო რწმუნებულმა მერებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიიღო მუნიციპალიტეტებში ტურისტული, რეკრეაციული და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხითაც. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტების მიმდინარეობა შეუფერხებლად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

როგორც სახელმწიფო რწმუნებულმა აღნიშნა, მსგავსი სახის შეხვედრები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებთან კოორდინირებულ მუშაობასა და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას.

ხაშურელი მოსწავლის უდიდესი წარმატება

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის, ხაშურის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ქურდაძე FLEX პროგრამისთვის მონაწილედ დასახელდა.

„ქართველი, სკოლის მოსწავლე, რომელიც ამერიკაში ჩვენი გაცვლითი პროგრამით იმყოფება, მთელი მსოფლიოდან ასობით ახალგაზრდას შორის, FLEX პროგრამისთვის მონაწილედ დასახელდა. მარიამ ქურდაძე შეარჩიეს მაღალი აკადემიური მოსწრების, მოხალისეობისა და საკუთარი ქვეყნის კულტურის განსაკუთრებული ენთუზიაზმით გაზიარების გამო. შეერთებულ შტატებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაცია ჩვენი გაცვლითი პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ როლში ქართველი მონაწილეები ყოველთვის ბრწყინავენ და ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის განმავლობაში ათასობით ამერიკელს პირადად გააცნეს და შეაყვარეს საქართველო“, - აღნიშნულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს გვერდზე „ფეისბუქში“.

ეულოცავთ მარიამს ამ უდიდეს წარმატებას და მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს ჩვენს მეტხველს შეეთავაზეთ მისში, როდესაც იგი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდება.



მსოფლიოდან ასობით ახალგაზრდას შორის, FLEX პროგრამისთვის მონაწილედ მარიამ ქურდაძე დასახელდა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ შაყულაშვილის ხელმძღვანელობით მორიგი საკონსულტაციო სხდომა გაიმართა. შეხვედრას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულუდანი, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები დაესწრნენ.

სხდომაზე 2023 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. როგორც მერებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტებში სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობს. პროცესის გადაღება კი მხოლოდ ამინდის გაუარესების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. გარდა ამისა, საუბარი შეეხო მიმდინარე წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობასაც. ასევე, შეკრებილებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.



მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა. თემაზე „ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმები“ ისაუბრა ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატი დამოუკიდებელი პროფესიისათვის“ გამგეობის წევრმა, სამართლის დოქტორმა, ადვოკატმა სოსო გაბარაევმა.

სხდომას ესწრებოდნენ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე და საჯარო სკოლების დირექტორები.

მომხსენებელი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა: ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის სახეების ისტორიული მიმოხილვა, დანაშაულის სახეები მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაზარალებულის თანხმობის მნიშვნელობა დანაშაულის კვალი ფიკაციისას, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები.

მოწვეულმა სტუმარმა უპასუხა შეხვედრის ბოლოს დასმულ შეკითხვებს. აღინიშნა, თუ რამდენად საჭირო და სპეციფიკურია სკოლების ჩართულობა, ცნობიერების ამაღლების კუთხით, დანაშაულის პრევენციისთვის.



მოწვეულმა სტუმარმა უპასუხა შეხვედრის ბოლოს დასმულ შეკითხვებს. აღინიშნა, თუ რამდენად საჭირო და სპეციფიკურია სკოლების ჩართულობა, ცნობიერების ამაღლების კუთხით, დანაშაულის პრევენციისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა

ასიგნებები - ბიუჯეტიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების გასაწევად, ანუ ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მინიშნისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ხარჯის გაწევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით, რაც საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსათვის მინიჭებული უფლებაა, რათა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით გასწიოს გარკვეული ხარჯები;

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადახაზილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 მარტის დადგენილების „ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების და პროგრამული კოდების შორის გადახაზილების წესის და გეგმის ცვლილების ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ (შეტანილია ცვლილებები) შესაბამისად, განხორციელდა 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში 2023 წელს და ასევე 2022 წლიდან გარდამავალი განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების გეგმის დამტკიცება (პრიორიტეტული საჭიროებები წარმოდგენილია, მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებით, შესაბამის სტრუქტურული ერთეულებთან შეთანხმებით) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის 6 განკარგულებით „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

თვითმმართველი ერთეული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 26 755,5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა 26 755,5 ათას ლარით.

მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 5 968,03 ათას ლარი (აქედან, ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 4 474,94 ათასი ლარი, დელეგირებული - 65,21 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან მიღებული თანხების ნაშთი - 1 427,88 ათასი ლარი).

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ“ შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2023 წლის 13 თებერვლის მდგომარეობით 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 33 829,2 ათასი ლარით, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 7 788,70 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი - 26 040,48 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 39 261,25 ათასი ლარით, აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 9 032,85 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი - 30 228,39 ათასი ლარი. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილების მე-17 მუხლის „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები“ - ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შესაბამისობაშია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 თებერვლის 6 განკარგულების „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დანართი 1-თან (დანართი 1 თან ერთვის) ღონისძიებების შესაბამისად.

ამდენად, 2023 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაწერილი ასიგნებებით ხარჯები განისაზღვრა - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად 17423.21 ათასი ლარის ოდენობით:

შრომის ანაზღაურება - 3 162.88 ათასი ლარი;

საქონელი და მომსახურება - 2989.45 ათასი ლარი;
პროცენტი - 372.78 ათასი ლარი;
სუბსიდიები - 8487.49 ათასი ლარი;
გრანტები - 174.79 ათასი ლარი;
სოციალური უზრუნველყოფა - 860.94 ათასი ლარი;
სხვა ხარჯი - 1327.47 ათასი ლარი;
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა პრიორიტეტების მიხედვით - 21397,77 ათასი ლარის ოდენობით:
01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 387.69 ათასი ლარი;
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება - 17669,30 ათასი ლარი;
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა - 81.64 ათასი ლარი;
04 00 განათლება - 14.94 ათასი ლარი;
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3146.86 ათასი ლარი;

06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა - 97.34 ათასი ლარი;

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5248.0 ათასი ლარი;

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები - 5248.0 ათასი ლარი;

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - 4402.0 ათასი ლარი;

ფინანსური და ფისკალური საქმიანობა - 845.0 ათასი ლარი;

თავდაცვა - 298.0 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა - 17347,0 ათასი ლარი;

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა - 1644,0 ათასი ლარი;

საავტომობილო ტრანსპორტი და გზები - 1189,0;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში - 4514,0 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა - 1725,0 ათასი ლარი;

ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 1725,0 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3298,0 ათასი ლარი;

წყალმომარაგება - 1722,0 ათასი ლარი;

გარე განათება - 1576,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა - 215,0 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 118,0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული ჯანდაცვის სფეროში - 97,0 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია - 6424,0 ათასი ლარი;

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში - 1042,0 ათასი ლარი;

მომსახურება კულტურის სფეროში - 5382,0 ათასი ლარი;

განათლება - 3582,0 ათასი ლარი;

სკოლამდელი აღზრდა - 3577,0 ათასი ლარი;

ზოგადი განათლება - 5,0 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა - 1125,0 ათასი ლარი;

ხანდაზმულთა სოციალური დაცვა - 2,0 ათასი ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 1013,0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში - 110,0 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ასიგნებებში აღნიშნული არსებული რესურსები გვაძლევს შესაძლებლობას ხაშურის მუნიციპალიტეტმა განახორციელოს დაკისრებული მოვალეობები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.

ლელა მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო
საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

სამმხრივი თანამშრომლობა - მუზეუმი-რესურსცენტრი-სკოლა - ღრმავდება

გ ა ს უ ლ კვირას, ქალაქ ხაშურის 1 საჯარო სკოლაში, რესურსცენტრისა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით, სამმხრივი თანამშრომლობის (რესურ-



სცენტრი-სკოლა-მუზეუმი) გაღრმავების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც სკოლის დირექტორები, ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლები ესწრებოდნენ.

მუზეუმისა და სკოლების აქტიური კოლაბორაციის საჭიროებაზე ისაუბრა რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ზვიად გოგუაძემ.

მუზეუმის მიერ სკოლებთან სამომავლო თანამშრომლობისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე პრეზენტაცია წარმოადგინა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარმა მკვლელმა მზია ლობჯანიძემ.

საგანმანათლებლო პროგრამის: „ჩემი ოჯახის რელიკვიები“ შესახებ თავისი ხედვა გაავრცინა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ, ხოლო მოსწავლეთა კონფერენციისა და ერთობლივი გამოცემების მომზადებასთან დაკავშირებით, სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილემ - მურად მთვარელიძემ.

შეხვედრის მონაწილეებმა შეავსეს კითხვარი მუზეუმის მუშაობასთან დაკავშირებით.

მერიის პასუხი ცრუ ინფორმაციაზე, რომელიც ხაშურის წყალმომარაგების მასშტაბურ პროექტს ეხება


ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება საინფორმაციო კომპანია „მოზაიკას“ მიერ გამოქვეყნებულ და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციას ხაშურში წყლისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის პროექტის შესახებ.

„მოზაიკას“ ნიუსი არის მცდელი, რომ მასშტაბური პროექტი, რომელიც ხაშურში წყალმომარაგების პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინოს და გადმოსცემს იმ მოქალაქეთა პოზიციას, ვინც პროექტის განხორციელებას ეჭვის ქვეშ აყენებს.

გვინდა მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტი მუნიციპალური პროექტი არ გახლავთ, ამიტომ გავწვდით ინფორმაციას იმ პროცედურებზე, რაც დაწყებულია და უშუალოდ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

„ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების“ პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქულ კომპანიას „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S.“ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია. პროექტის დიდი მასშტაბობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, უშუალოდ საველე



ხაშურის სამუხეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები

დასასრული. დასაწყისი იხ. ხმ. #9

ხაშურის სამუხეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშებიდან, განსაკუთრებით, საინტერესოა სურამის ლესია უკრაინკას მუხეუმში დაცული, უკრაინული ეროვნული ნაქარგობის ძალიან საინტერესო ნიმუშები, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით არის მუხეუმში შემოტანილი და ამ ერის იდენტობის ერთერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. ჯერ განვიხილავთ უკრაინული ქარგვის ეროვნულ ტრადიციას.

„ვიშივანკა“-თანამედროვე სახელწოდება აღმოსავლურსლავური ტრადიციული პერანგის ქარგვის. „ვიშივანკის“ ხელოვნება სლავებში თავისი ფესვებით წინარქებისტიანულ ეპოქაში შედის და აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებიც. ასევე დასტურდება სხვადასხვა მოგზაურთა ჩანაწერებში. ასე რომ, ქარგვა, პირველყოფილი კულტურის ეპოქის მიეკუთვნება და სათავეს იღებს იქიდან, როცა გაკეთდა პირველი მარყუქი „Стежка“ ცხოველის ტყავისგან შეკერილი ტანსაცმლისთვის. ქარგვის პირველი ოსტატები იყენებდნენ ცხოველების გამხმარ ძარღვებს, სელის ძაფის გრეხილს, კანაფს, დაგრეხილ ბამბას და შალს.

ტ ა ნ ს ა ც მ ღ ი ს ვიზუალიზაციის თვალსაზრისით იყენებდნენ მარგალიტს და ძვირფას ქვებს, მძივებს, ე. წ. „ბისერებს“, „ნაპერწკლებს“ („нелестки“), ნიკარებს, ოქროსა და ვერცხლის ფირფიტებს, მოგვიანებით, მონეტებსაც.

ქ ე რ ო ლ ტ ე ს ცნობების მიხედვით, სკვითებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, ეცვათ დაქარგული ტანსაცმელი, ხოლო სხვა ხალხებთან ურთიერთობის შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა ქარგვის ხელოვნება კიევის რუსეთში. ამ დროს წარმოიშვა და პოპულარული გახდა ქარგვა ოქროს და ვერცხლის ძაფებით. ამგვარი ნაქარგობით შემკული იყო წარჩინებული ფეოდალებისა და ღვთისმსახურების ტანსაცმელი. უბრალო ხალხის ტანსაცმელი შემკული იყო ნაქარგი ორნამენტებით, შავი და წითელი ბამბის ძაფისგან.

ცნობილი იტალიელი მოგზაურის, ჟილბერ დე ლანუას მიხედვით, რომელმაც უნგრეთის სამეფოში იმოგზაურა 1412-1421 წლებში, აქაურების ტანსაცმლის სახელები და ქუდები დაქარგული იყო. მე-16 - მე-17 საუკუნეების მიჯნაზე უკრაინულმა „ვიშივანკამ“ უფრო თანამედროვე იერი მიიღო. ცვლილებები შეეხო ნაქარგობის სურათს, რომელიც მანამდე მხოლოდ მახვილი და სწორი კუთხეებით იყო გამოსახული. ორნამენტები იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით და თითოეულს აქვს თავისი დანიშნულება. ქარგვის ხელოვნება ქალისთვის დამახასიათებელი იყო. თუ უკრაინელი ყმაწვილი არჩევანს ვერ აკეთებდა გოგონებს შორის, ის თავის პოტენციურ რჩეულს ქარგვის ხელოვნებით აფასებდა. სარძლო, სწორედ, ამ თვისებებით (ნაქარგი უნდა ყოფილიყო სწორი, ნათელი, ორნამენტირებული) შემკული უნდა ყოფილიყო. რადგან მის მიერ მოქარგული პერანგი მისი მეუღლის სამშვენისი უნდა ყოფილიყო. კაზაკისთვის მოქარგული პერანგი ერთგვარი თილისმა იყო. ის სულს



სამუშაოების დაწყებას წინ უძღვის მთელი რიგი პროცედურები, რაც გულისხმობს შესაბამისი ტექნიკური, იურიდიული თუ სხვა სახის დოკუმენტაციის მომზადებას და ა.შ.

კერძოდ, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 09.02.2023 წლის 1987/1 წერილით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას უკვე წარმოუდგინა „ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების“ (LOT-1) პროექტის ფარგლებში შესაბამისი დოკუმენტაცია მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მიზნით. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 24.02.2023 წლის ბრძანება ბ-84.842305546 შესაბამისად, დამტკიცებულია ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის მომზადების მიზნით (წყალმომარაგება - მიწისქვეშა საერთო სიგრძე 230545.79 გრძივი მეტრი და წყალარინება - საერთო სიგრძე 44397.57 გრძივი მეტრი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აქვე აღვნიშნავთ, რომ წყალარინების ნაწილში პროექტი დამატებით 25 კილომეტრსაც მოიცავს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია გადის შესაბამის პროცედურებს სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწესრიგებაზე პასუხისმგებელ კონტრაქტორ კომპანიას უკვე დაწყებული აქვს ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური საკითხების მოწესრიგება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა უშუალოდ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შეუფერხებელი შესრულებისთვის.

ამრიგად, „ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების“ პროექტის განხორციელება მხოლოდ დროის საკითხია. პროექტის განხორციელება რეალურად უკვე დაწყებულია და მალე სამშენებლო სამუშაოები თვალსაჩინო გახდება.

Update: დამატებით ვაქვეყნებთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და კონტრაქტორ თურქულ კომპანიას „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S.“ შორის დადებულ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომლის თაობაზე საზოგადოებას მისი ხელმოწერისთანავე, 2022 წლის დეკემბერში ვაცნობთ. ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ მოწვევების თანდასწრებით და გამოქვეყნებული ნაწილი ასახავს „ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების“ პროექტის პირველი ლოტით განსაზღვრული ვალდებულებების რეზუმეს.

ათბობდა და ჭრილობებს აშუშებდა, იცავდა ავი თვალისგან, მჭიდრო კავშირში იყო მიწასთან, სახლთან, სწორედ, გეტმანის სახელმწიფოს დროს მოხდა უკრაინული ეროვნული კოსტიუმის ფორმირება, სადაც „ვიშივანკა“ მთავარი ელემენტი იყო.

„ჩუმაკი“, უკრაინელი გლეხი-ვაჭარი(ყიდა მარილს, თევზს, პურს) მხოლოდ ერთადერთ ქალს ანდობდა თავისი პერანგის გარეცხვას, თავის რჩეულს. ეს საკრალური რიტუალი იყო, რომელთანაც ყველას მიშეება არ შეიძლებოდა. „ჩუმაკი“ ასე უმტკიცებდა ერთგულებას თავის შეყვარებულს. ბევრ ჩუმაკურ სიმღერაში მოხსენიებული თეზისი: „გაურეცხავი პერანგის“ შესახებ.

მე-19 მე-20 საუკუნეების მიჯნაზე უკრაინელი მამაკაცის დაქარგული ზედა სამოსი უკვე ევროპული ტანსაცმლის შიგნით იცმევა. ამ მოდის დამკვიდრებას ხშირად ივანე ფრანკოს მიაწერენ, რომელიც სხვებისგან ხშირად გამოირჩეოდა მსგავსი ჩაცმულობით.

უკრაინელებს ძალიან ხშირად აცვიათ ეროვნული ტანსაცმელი ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებზე: დამოუკიდებლობის დღეს, კონსტიტუციის დღეს, დროშის დღეს ადღვომას, შობას, და ა. შ. 2006 წლიდან ყოველი წლის მაისის მესამე ხუთშაბათი არის „ვიშივანკის“ მსოფლიო დღე.

2008 წელს დიორ ჯონ გალიანომ წარმოადგინა კოლექცია უკრაინული „ვიშივანკით“, სადაც მუქ ფერებზე დომინირებდა ღია ფერის „ვიშივანკა“.

2015 წელს ვალენტინოს მოდის სახლმა წარმოადგინა კოლექცია უკრაინული ეთნომოტივებით.

„ვიშივანკა“ აცვია მადონას, მილა კუნისს, სანდრა ბულოკს და სხვებს.

„ვიშივანკა“ სურამის ლესია უკრაინკას მუხეუმშიდან წარმოადგენს უკრაინულ პერანგს, თუმცა არ წარმოადგენს მის შაბლონურ ნიმუშს. ის არის ძალიან მარტივად მორთული და არ არის შესრულებული ტრადიციული გეომეტრიული ფიგურების ქარგვით, არამედ, ქარგვისას გამოყენებულია მარტივი მცენარეული ორნამენტები. რაც შეეხება იმას, რომ სახეები, ძირითადად, შესრულებულია ე. წ. „ბისერებით“, პერანგი მაინც იძენს თავისებურ ორიგინალურ სახეს. გულისპირისა და სახელოების მოქარგვისას გამოყენებული კომპოზიციები-მცენარეული ორნამენტებით შესრულებული ვარდულები მთლიანად „ბისერებით“ არის შესრულებული. კისრის გარშემო, საყვლოს შემოუყვება ყაისნაბით მოქსოვილი არშია, რომელიც წარმოადგენს საყვლოზე ორმწკრივად განლაგებულ მაქმანისებურ ნაქსოვს, რომელიც შესრულებულია ბამბის ძაფისგან. პერანგის მასალად თხელი მიტკალია გამოყენებული.

არანაკლებ საინტერესოა ლესია უკრაინკას მუხეუმში დაცული ტილო-გადასაფარებლები, ე. წ. „რუშნიკები“. ეს არის უკრაინული ტილო, პირსახოცი, ხელსახოცი-დეკორატიული აღმოსავლურსლავური რიტუალური დანიშნულების, მინიჭებული აქვს გზის, შეერთების, დაკავშირების სემანტიკა. რიტუალებში და წეს-ჩვეულებებში აქვს ბარაქის, დამცავის, დღესასწაულის ფუნქცია. გამოიყენება ქორწილებში, დაკრძალვაზე, ნათლობაზე, კალენდარულ დღესასწაულებზე, ხალხური მკურნალობისას. დღესდღეობით, ძველი სლავური ტრადიციები პრაქტიკულად მივიწყებულია, თუმცა, მისით დღესაც რთავენ ტრადიციულ უკრაინულ სახლებს: კარს, კედლებს, ხატების კუთხეს, ფანჯრებს, ჭიშკრებს, და ა. შ.



ახალდაბადებულ გოგონას „რუშნიკზე“ დააწვენდნენ, „რუშნიკსვე“ გადაა-

ხაშურის სამუხეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები

დასასრული, დასაწყისი იხ. მე-4 გვერდზე

ფარებდნენ აკვანსაც. ვიდრე ახალშობილს ვინმეს აჩვენებდნენ, პატარას „რუშნიკით“ გაასუფთავებდნენ, ავი თვალისგან დასაცავად „რუშნიკშივე“ შეახვევდნენ და ისე გაიყვანდნენ ნათესავებში. „რუშნიკში“ შეახვევდნენ ახალშობილისთვის მის-ართმევ საჩუქარსაც, რომელსაც წარმოადგენდა კვერი, მარილი, რომელიმე ტრადიციული უკრაინული კერძი, მარაყი ან ღვინო, პერანგი, წითელი ძაფით შეკრული, მონეტა და ყვავილები გოგონასათვის, რათა მას მალე შეძლებოდა გათხოვება.

„რუშნიკი“ საქორწინო ცერემონიაზე შემაერთებლის ფუნქციას ასრულებდა. ტრადიციული უკრაინული ქორწილისთვის არანაკლებ 40 „რუშნიკი“ უნდა მოემზადებინათ, მათგან ყველაზე დიდი-სახისთვის, რაც ნიშნავდა პატარძლის და მისი ოჯახის თანხმობას ქორწინებაზე. ის იცავდა ახალგაზრდებს ავი თვალისა და ჯადოსგან. „რუშნიკებით“ რთავდნენ საქორწინო ცხენებს, ეტლს, სტუმრების ტანსაცმელს. „რუშნიკზე“ იდგა ნეფუ-პატარძალი ჯვრისწილის დროს. ზოგიერთ რეგიონში ნიშნობა ეწოდება „რუშნიკის“ მიღებას ან გაცემას.

გარდაცვალების დროს „რუშნიკი“ ითვლებოდა მიცვალებულის სულის სამყოფად 40 დღის განმავლობაში, ის იყო ერთგვარი ფანჯარა ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროებს შორის. მისით რთავდნენ საფლავის ჯვრებს, ხეებს, ეკლესიებს. „რუშნიკი“ იყო ავი თვალისგან დამცავის ფუნქციით. აღდგომის ეკლესიაში განწმენდილი „რუშნიკები“ იყო გამოკიდებული აღსავლის კართან, და ჭექა-ქუხილის დროს მას იქ ტოვებდნენ ჭექა-ქუხილის გადავლამდე. ხშირად, ბოროტი ძალებისგან დაცვის საჭიროების ობიექტს, ადამიანს, გადააფარებდნენ წინსაფარს, ტილოს და ამით იცავდნენ მას საფრთხისგან.

ერთი „რუშნიკი“ (ხელით ნაქარგი) დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ზომა: 2,45 მ X 36,5 სმ. შესრულებულია უცნობი ავტორის მიერ. „რუშნიკს“ თავსა და ბოლოში ყაისნადით შემოქსოვილი ორნამენტები არ-შეიბი აქვს. შესრულებულია ხამ ტილოზე შალის ფერადი ძაფით. შექმნილია ზო-მორფული და მცენარეული ორნამენტებით. ყაისნადით შემოქსოვილი არ-შეიბის მიმდებარედ, „რუშნიკის“ თავსა და ბოლოში, ვარდის მშვენიერი ტოტებია ამოქარგული, ორი ხასხასა წითელი გაფურჩქნული ვარდით, რამდენიმე კოკრით და ხასხასა მწვანე ფოთლებით. „რუშნიკის“ მთავარი კომპოზიცია არის ვარდის ტოტებზე შემოსკუპებული თუთიყუ-ში. დომინანტ ფერებად გამოყენებულია ხასხასა წითელი, ცეცხლისფერი, ვარდისფერი, მუქი მწვანე, მოლისფერი, ჭაობისფერი, ზურმუხტისფერი, ხოლო ცისფერი, ღურჯი, მელნისფერი, შავი, ყავისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალების შესავსებად. ფერადი ძაფების ოსტატური და მონაცვლეობით გამოყენებით შესანიშნავად არის მიღწეული გამოსახულების სიმკვეთრე და ხედაპირის რელიეფურობა. ნაქარგია მინიატურული ჯვრების ტექნიკით.



ქარგვის განსაკუთრებული ტექნიკით გამოირჩევა სურამის ღვინო უკრაინკას მუზეუმში დაცული მშვენიერი „რუშნიკები“. ისინი ტილოზე ან მიტკალზე ნაქარგი და სიმეტრიულად განლაგებული ნაქარგი ორნამენტები და ფონები ამოქსოვს. „რუშნიკები“, ძირითადად, „ღვინოების“ დღესასწაულებზე არის საჩუქრად მიტანილი უკრაინელი სტუმრებისგან, ნაქარგულში უკრაინის საელჩოსგან ან საქართველოში უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებისგან. არის ჩუქების ცალკეული ერთეული შემთხვევებიც.

1. „რუშნიკი“ (სლუმ 107/ე-1) 1996 წელს დამზადებული, მუზეუმისთვის საქართველოში უკრაინის საელჩოს მიერ არის ნაჩუქარი, მასზე ამოქარგულია გაშლილი წითელი ყაყაჩოები და ხაშხაშები გაუფურჩქველ კოკრებთან ერთად, და ნაქარგით გამშვენებული უკრაინული ასო „Л“. „რუშნიკზე“ „კემსით“ ამოქარგულია წარწერები უკრაინულ ენაზე და ციტატა ლესია უკრაინკას ლექსიდან: „На шлях я вишишла ранишою весною“. „რუშნიკის“ ორივე ბოლოს შემოვლებული აქვს ყაისნადით მოქსოვილი მშვენიერი არ-შია, რომელიც, ძირითადად, რომბული ბადეებით არის წარმოდგენილი.

2. ერთერთ „რუშნიკს“ (ბოლოებზე სიმეტრიულად დაუყვება პორიზონტალური ზოლები, წითელი, მწვანე, ღურჯი და ყვითელი ფერებით შედგენილი გეომეტრიული ფიგურებით. დომინანტი ფერი წითელია. ზოლები ერთმანეთისგან გამოყოფილია ზიგზაგისებური წითელი ორნამენტებით. გამოყენებულია ქარგვის სტილი-ნაფენი.

3. „რუშნიკი“ მშვენიერი გეომეტრიული, მცენარეული და ზომორფული ფიგურებით, ორივე ბოლოზე ფონებით. პირველი ორნამენტი ფონების შემდეგ შესრულებულია გეომეტრიული ზიგზაგებით, სამკუთხედებით, რომბებით, ნახევარწრებით და ჯვრებით, რომლებიც ფაქიზად გადადის გეომეტრიული ფიგურებით და ქარგულ მშვენიერ ორნამენტებზე ქოთნებში ჩარგული ყვავილების ვარჯში. ორნამენტები დეკორის დაგვირგვინებას წარმოადგენს პროფილში მდგარი სამი მამდაყინლა გაფურჩქნული ბოლოებით და გადებული ნისკარტებით, თითქოსდა, მოძრაობაში მყოფნი. შესრულებულია ტილოზე, გამოყენებულია შავი და წითელი ბამბის ძაფი(ე. წ. „მულინა“).

4. „რუშნიკი“ მიტკალზე ნაქარგით, ორივე ბოლოზე ერთიდაიგივე ორნამენტებია გამორებული. ცენტრში ოთხფურცელა ყვავილის გვირგვინი, რომელიც ხას-მულია წვეროთი ხეშით მიმართულ ორნამენტებულ სწორკუთხედში. ცენტრალური ფიგურის ორივე მხარეს ოთხი გვირგვინის ფურცლით წარმოდგენილი ოთხი ყვავილი. „ვარდული“ ცენტრალური დეკორის ორივე მხარეს გასდევს ერთმანეთზე გადაბმული სხვადასხვა ზომისა და ფორმის გამშვენებული სამკუთხედების მწკრივი. გამოყენებულია წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, ღურჯი, მწვანე და შავი ფერის ბამბის ძაფი. ნაქარგია ჯვრებით და ნაფენით.

5. „რუშნიკი“ ყაყაჩოებით და ხაშხაშებით, შესრულებულია დიდი მოცულობის ტილოზე. წარმოადგენს ძალიან საინტერესო ნამუშევარს. გამშვენებულია რთული ორნამენტებით. ეს პორიზონტალური ორნამენტები, მონაცვლეობით, სიმეტრიულად გასდევს „რუშნიკის“ ორივე მხარეს.

I პორიზონტალური რიგი - მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები დაუქარგავია, ჯვრებით ნაქარგია მხოლოდ მინდორი, გამოყენებულია შავი ბამბის ძაფი.

II პორიზონტალური რიგი - მცენარეულ შტოზე სიმეტრიულად განლაგებული ხაშხაშის თესლის კოლოფები, ნაქარგია ჯვრებით, შავი და წითელი ბამბის ძაფით.

დაფით.

III პორიზონტალური რიგი - მცენარის ფოთლისებური ორნამენტი დაუქარგავია. ჯვრებით ნაქარგია მხოლოდ მინდორი. გამოყენებულია ბამბის წითელი ძაფი.

IV პორიზონტალური რიგი - ნაქარგია ამოკემსით პაწაწინა ყვავილების ორნამენტები. გამოყენებულია ბამბის შავი ძაფი.

V პორიზონტალური რიგი - წარმოდგენილია რომბებში ჩასმული მცენარეული ორნამენტი დაუქარგავია. მინდორი დაქარგულია მინიატურული ჯვრებით.

VI პორიზონტალური რიგში გამოვლენილია IV რიგის ორნამენტი.

VII პორიზონტალური რიგში გამოვლენილია III რიგის ორნამენტი.

VIII პორიზონტალური რიგში დაქარგულია ყურძნის მტკვნელები და ფოთლები. გამოყენებულია ბამბის შავი და წითელი ძაფი.

IX პორიზონტალური რიგი - გეომეტრიულ ფიგურებში, ტეხილებში ჩასმული რვა გვირგვინის ფურცლიანი ვარდულები დაუქარგავია. მინდორი შევსებულია ბამბის შავი ძაფით შესრულებული მინიატურული ჯვრებით.

X პორიზონტალური რიგი - ელორტზე გამოსხმული გაფურჩქნული ვარდები და ფოთლები შესრულებულია წითელი და შავი ბამბის(„მულინა“) ძაფით დაქარგული მინიატურული ჯვრებით.

6. „რუშნიკი“ ვარდებით და კოკრებით.

თეთრ მიტკალზე ამოქარგულია სამი გაფურჩქნული ვარდი და სამი კოკრის კომპოზიცია ვარდის ტოტებით, ფოთლებით და წიწვისებური მცენარის ელორტებით.

გამოყენებულია წითელი, ვარდისფერი, მოყვითალო, მომელნისფრო, მუქი და ბაცი მწვანე ბამბის ძაფი(„მულინა“).

ნაქარგია ნაფენით. რელიეფურობისა და გამომსახველობის მინიჭების მიზნით, ნაქარგს მიცემული აქვს სხვადასხვა მიმართულება.

7. „რუშნიკი“ ვარდებით.

თეთრ მიტკალზე ორ პორიზონტალურ რიგში წარმოდგენილია მარტივი კომპოზიცია ვარდებით, კოკრებით და პაწაწინა ყვავილებით.

მეორე პორიზონტალურ რიგში დაქარგულია ზომორფული წველი მტრედი, გაშლილი ფოთლები. გამოყენებულია ცეცხლისფერი, ვარდისფერი, ალუბლისფერი, ღურჯი, მელნისფერი, შავი ბამბის ძაფი(„მულინა“).

ნაქარგია ნაფენით. კომპოზიციისთვის გამომსახველობის მინიჭების მიზნით, ქარგვისას ნაქარგს სხვადასხვა მიმართულება აქვს მიცემული.

8. „რუშნიკი“ (სლუმ 133/ე-2) ორივე ბოლოზე ყაისნადით შემოქსოვილი არ-შეიბით. არ-შეიბში ჩაქსოვილია რომბული ბადეები.

ნაქარგია კომპოზიცია „რუშნიკის“ ორივე ბოლოზე წარმოდგენილია ზომორფული სამი ჩიტი და მცენარეული ორნამენტებით, რომელზეც სხვადასხვა სახეობის ყვავილებია წარმოდგენილი.


გამოყენებულია წითელი, მწვანე, თეთრი, ყვითელი, ნაცრისფერი, ვარდისფერი, ღურჯი, ყავისფერი და შავი ბამბის ძაფი(„მულინა“).

9. „რუშნიკი“ (სლუმ 346/ე-28), ხელით ნაქარგი, ორივე ბოლოზე ყაისნადით სიმეტრიულად შემოქსოვილი რომბული ბადეებით შედგენილი არ-შეიბით. „რუშნიკის“ ნაქარგობის მთავარი კომპოზიცია შედგენილია ხაშხაშის სამი გაფურჩქნული ყვავილისგან, რომლებიც ოთხკუთხა კალათშია ჩაწყობილი. კომპოზიციას ამკობს პაწაწინა ნაირფერი დაქარგული ყვავილები.

გამოყენებულია ღურჯი, შინდისფერი, მუქი მწვანე, ვარდისფერი, ყავისფერი, შავი ბამბის ძაფი. ნაქარგობა შესრულებულია ნაფენით.

10. ფაბრიკული წესით მოქარგული „რუშნიკები“ „რუშნიკები“ შესრულებულია ე. წ. „კანგაზე“, რომელიც არის სპეციალური ტილო, გახამებული და გამოიყენება საქარგავად ჯვრების სტილით. ის არის ნაქარგის საფუძველი.

„რუშნიკებზე“ გამოყენებულია ნაქარგები გეომეტრიული ორნამენტებით, განსაკუთრებით, რომბები და რომბული ბადეები. დაქარგულია ჯვრულით, წითელი და შავი ფერის ბამბის ძაფით.



„რუშნიკი“ თანამედროვე უკრაინის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ის არის ერის იდენტობის ერთერთი მახასიათებელი. „რუშნიკები“ წარმოდგენილია ქორწინების სახლებში, ეკლესია-მონასტრებში, კვების ობიექტებში, სასტუმროებში, ოფიციალურ სამსახურებში, ოფისებში და სხვ. ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ხაშურის სამუხეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები, რომლებიც, ძირითადად, ქართული და უკრაინული ტრადიციული ნაქარგობითაა წარმოდგენილი ხაშურის მხარეთმცოდნეობის და სურამის ღვინო უკრაინკას მუზეუმებიდან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ამ ნამუშევართან არის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი.

მზია ლოპუნიძე, ხაშურის სამუხეუმო გაერთიანების ფონდების მცველი

— თვითმხილველის ნაამბობი —

ნეაპოლი-ფეხბურთი-ჯვარაცხელია-ეს უნდა ნახო, ეს უნდა შეიგრძნო, ეს უნდა განიცადო....



ამ ათიოდე დღის უკან, მეგობრების მიწვევით, იტალიაში, კონკრეტულად კი ნეაპოლში იმყოფებოდა ვეტერანი ფეხბურთელი, „ივერიის“ სტადიონის დირექტორი ვასტანგ ჯაფარაშვილი, რომლის ნაამბობს, მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ, დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ:

მთელი ჩემი ცხოვრება-დაწყებული ბავშვობიდან და დღემდე, ფეხბურთთან ვარ დაკავშირებული. ბევრი რამ თვითონ მინახავს, ბევრი-წამიკითხავს, მაგრამ ის, რაც ნეაპოლში ვნახე, მართლაც წარმოუდგენელია და, რიგ მომენტებში, ფანტაზიის სფეროსაც კი სცილდება. მეექვსეა მსოფლიოში კიდევ არსებობდეს სხვა ქალაქი, რომელიც ასე იყოს დაკავშირებული ფეხბურთთან.

„დაკავშირებული“ არაა ის სიტყვა, რომელიც სწორად ასახავს რეალობას. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქალაქი ცხოვრობს ფეხბურთით. ისეთი შეგრძნებაა, რომ აქ ყველაფერი: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სოციალიზაცია ფეხბურთით სუნთქავს და სპორტის ეს ულამაზესი სახეობა მათი მასაზრდოვებელი წყარო. კონკრეტულ მატჩამდე, წინა შეხვედრის პერიპეტეიები ქალაქის ცხოვრების მთავარი რიტმი, მატჩის დღე კი სრული „საგიჟეთია“. ცუდ კონტექსტში არ ვამბობ ამ სიტყვას-წარმოიდგინეთ, ეს ულამაზესი და რამდენიმე მილიონიანი ქალაქი, უცბად მთლიან სტადიონად გარდაიქმნება. შეხვედრის მსვლელობისას კი, ქალაქი სრულად ცარიელდება.



ვინც სტადიონზე არ არის, ყველა ტელევიზორთანაა, დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, კაცი... გოლის დროს კი, მილიონი კაცი ერთად ღრიალებს. ჩვენი „კეთილი ნების ელჩი“, ჩვენი ოქროს ბიჭი კი ცალკე თემაა. კვარაცხელიას აღარც წარმოთქვამენ, ან „კვარადონა“ ან „კვარავაჯო“, უფრო ხშირად კი „დაიმონდი“, რაც იტალიურად ბრილიანტს ნიშნავს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი დროებით გადაგაადგილებოდით. თავი პირდაპირ სუპერგარსკვლავები გვეგონა, მანქანები აჩერებენ, გადმოდიან ნეაპოლელები და ჩვენთან სურათის გადაღებას გვთხოვენ. უფრო მეტიც-რამდენიმე ავტოგრაფიც კი გვთხოვა. გაგიჟდები კაცი, „ნაპოლში“ მართლაც დიდებული ფეხბურთელების მთელი კოჰორტაა, თუნდაც ოსიმენი რად ღირს, მაგრამ ხეიან მათთვის სულ სხვაა. მთელი ქალაქი ასე იყოს შეყვარებული ერთ ბიჭზე, არც მსმენია. ხეიან მათთვის ღმერთის ელჩია, უფრო ზუსტად, ღმერთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი, რომელმაც მათ სანუგეარო „სკუდეტო“ უნდა აჩუქოს. ისე კი, „დაგვიტანჯეს“ ბიჭი. ათასობით ტიფოზი იკრიბება ღამე ხეიანს სახლთან და დილაზე მღე-

რიან. ესპანური კვარტალი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი უბანია ნეაპოლში, მთლიანად ხეიანს სურათებითაა ატრელებული. ბუტიკებში ათი მაისურიდან ცხრა შემთხვევაში, ხეიანს წარწერიანი მაისური იყიდება. პიცერიებზე, შესასვლელში, ხეიანს დიდი სურათები გამოკრული და თუ არ არის, არც არავინ შედის შიგ. ერთ დამახასიათებელ ისტორიასაც გავიხსენებ: ტაქსი გაგაჩერეთ, ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის დათვალიერების შემდეგ, სასტუმროში გბრუნდებით. ვიცოდით, ეს მგზავრობა დაახლოებით 20 ევრო ღირდა. ოცი კი არა, ტაქსის ეზო მაკამა მძღოლმა, უცხოელები რომ დაგვინახა, ნახევარი ქალაქის ქუჩები შემოგვატარა, გზა დააგრძელა, რომ ტაქსს მეტი დაეწერა და ტაქსომეტრს კი 50 ევრო დააწერინა, ძალიან გავბრაზდით, მაგრამ რას ვიზამდით უცხო ქალაქში? როცა ადგილზე მივედით, მხოლოდ მაშინ შეამჩნია უკანა საგარძელზე მჯდომი მეგობრის ტანზე შემოხვეული ჩვენი ეროვნული დროშა(მანამდე ქურთუკი უფარავდა). ეს რა არისო-იკითხა. აგუხსენით, რომ საქართველოს ეროვნული დროშა და რომ ჩვენ კვარაცხელიას სამშობლოდან ვიყავით. კაცი პირდაპირ შარვლიდან ამოხტა. ჯერ ხომ ათწუთიანი მონოლოგი გვიკითხა-ალბათ, თქვენი ჩემდათავად გამშვების დედაო, ამბობდა. მერე კარებები ჩაგვიკეტა და მანქანა დაძრა. მთელი ღამე გვატარა და მთელი ნეაპოლი დაგვათვალიერებინა. თან სულ გვიმორებდა, ფული არ მიხსენოთ, თორემ გავგიჟდებო. პარალელურად, მანქანაში ხეიანს გოლების ვიდეო ჩართო და ხომ ათასჯერ ჰქონდა ნანახი, ყველა გოლზე, თითქოს პირველად უყურებდა, პირდაპირ კიოდა. მოკლედ, ეს ყველაფერი უნდა ნახო, უნდა შეიგრძნო, უნდა განიცადო. მთელი იქ ყოფნის პერიოდში, წარმოუდგენელი სიამაყის გრძნობა დაგვეება, რომ ქართველი ხარ, რომ ამ ქალაქში არის ერთი უბრალო, ქოჩორა ბიჭი, რომელმაც შენი სამშობლოს სახელი მთელ იტალიას დაზვიერებინა და რომელსაც მთელი საქართველოსთვის სიხარული მოაქვს.



„ნაპოლი“ კი უახლოეს მდევარს 18 ქულით უსწრებს, თითქმის გადაწყვეტილია, მისი ჩემპიონობა. უკვე წარმომიდგენია, რა მოხდება იმ დღეს, როდესაც ამ ტიტულს ოფიციალურად გაიფორმებს. აი, „საგიჟეთი“ მაშინ იქნება თუ იქნება. ამ დღეს 33 წელია ელის სრულიად ნეაპოლი და ამდენი წლის ნაგროვი ემოცია ერთბაშად დაატყდება ქალაქს. ჩვენს ოქროს ბიჭს კი მხრებზე შეისვამენ და ალბათ, ერთი საში დღე მიწას აღარც გააკარებენ. ეკუთვნის კიდევ!



ჩაიწერა გოგი გოგალაძემ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.